ხელშეკრულება №51
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ტყიბული 04 აპრილი 2018 წელი

ერთი მხრივ, ს.ს.ი.პ. ტყიბულის მუნიციპალიტეტი (შემდგომში ,,შემსყიდველი'') წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის მერის თემურ ჩუბინიძის სახით (რეკვიზიტები: მის. ქ. ტყიბული, კ.ლომაძის მოედანი N3, საიდენთიფიკაციო კოდი 219636259, სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიში)

მეორე მხრივ შპს „ბინული 2008“ წარმოდგენილი დირექტორის ბეჟან ასათიანის სახით (რეკვიზიტები: მის. ქ. უთაისი, ჭავაჭავაძის N51, საიდენთიფიკაციო კოდი 212916718, მომსახურე ბანკი ს.ს. „პროკრედიტ ბანკი“, ა.ა.GE70PC0213600100010004)

საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მესამე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესი“-ს მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის და მე-5 მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე აფორმებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას.

მუხლი 1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 “ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ” (შემდგომ _ “ხელშეკრულება”) _ შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 “ხელშეკრულების ღირებულება” ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს “შემსყიდველმა ორგანიზაციამ” „მიმწოდებლს“, „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 “შემსყიდველი ორგანიზაცია” (შემდგომ “შემსყიდველი”) ნიშნავს რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 “მიმწოდებელი” ნიშნავს პირს , რომელიც ახორციელებს მიწოდებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 “დღე”, “კვირა”, “თვე” ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს;

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი და კლასიფიკატორის კოდი

1. წინამდებარე ხელშეკრულების შესყიდვის ობიექტს სახურავის გადასახური მასალების მოწოდება ხელშეკრულების დანართის შესაბამისად (შემდგომში "საქონელი").

2. CVP კლასიფიკატორის კოდი 44112500

მუხლი 3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 10338,29 (ათიათასსამასოცდათვრამეტი ლარი და 29 თეთრი) ლარს.

2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

მუხლი 4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.

2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელის მიწოდების შემდეგ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტისა და საგადასახადო დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე.

3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

მუხლი 5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

1. შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმომწერი პირია ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერი თემურ ჩუბინიძე.
3. შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება მისამართზე: ქ. ტყიბული, კ.ლომაძის მოედანი N3
4. შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა გახორციელდეს 2019 წლის 08 აპრილამდე.

მუხლი 6. მხარეთა უფლება–მოვალეობები

1 ,,მიწოდებულისაგან'' მოითხოვოს ხელშეკრულებით გათავალისწინებული ყველა პირობის დაცვა
2. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.
3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

მუხლი 7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

1. შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.
2 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.
3 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის ოდენობით.
2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობებით განსაზღვრული მომსახურების შესრულების ვადის დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ხელშეკრულების ღირებულების 0.2%-ის ოდენობით.
3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

მუხლი 9. ფორს–მაჟორი

1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს–მაჟორული გარემოების შედეგი.
2 ამ მუხლის მიზნებისათვის ,,ფორს–მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

მუხლი 10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი

ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
2. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
4 მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 9.3 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ
5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

მუხლი 11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის 2019 წლის 04 არილიდან და მოქმედებს 2019 წლის 20 მაისის ჩათვლით, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

მხარეთა ხელმოწერები

ს.ს.ი.პ. ტყიბულის მუნიციპალიტეტი
მუნიციპალიტეტის მერი თემურ ჩუბინიძე

შპს „ბინული 2008“

ხელშეკრულების დანართი

N	საქონელის დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	მთლიანი ღირებულება
1	მოთუთიებული ნაგლინი 0,5X920 (გოფრირებული 2000მმ)	780,16 კვ/მ	13,04	10173,29
2	თვითმჭრელი ხრახნიანი ხისათვის. ზომა 4,8X70	900 ცლი	0,1	90,00
3	ლურსმანი 7 სმ-იანი	25 კგ	3	75,00
				10338,29

ს.ს.ი.პ. ტყიბულის მუნიციპალიტეტი
მუნიციპალიტეტის მერი თემურ ჩუბინიძე

შპს „ბინული 2008“